სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

	ბაგზავნით ტფილისში	ბაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	მან.
ერთის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამ ს თვისა	— 2 მ. 50 კ.	— 2 —

პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

3338

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე ბლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და ქამპ. სტამბაში.

№ 20. სამშაბათი. I. 16 ივლისს 1868 წ.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: ტფილისის უეზდის ნაჩალნიკის განცხადება.—წეს-დება.— არა ოფიციალური ნაწილი: საქონლის ჯიშის გაუკეთესება კარგი მოელის შემწეობით.—მამონტის მიწის მღვიმე ქენტუკში ამერიკაში.— სხვა და სხვა ამბავი: ქართოფილის თალგამის და სხვ. იოხმარება. დასჯილი ძუნწი.—ბარდის ბუჩქის გაკეთება ნაცრით. არითმეტიკა.

ოფიციალური ნაწილი.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Тифлисское Уѣздное Управленіе объявляетъ, что Господинъ Тифлисскій Губернаторъ предписаніемъ отъ 31 Мая за № 4068 предложилъ къ оглашенію выборовъ на сельскія должности лицъ по Тифлисскому Уѣзду на новое съ 1869 года трехъ-лѣтіе, приступить съ начала осени сего года и таковыя окончить скорѣе и выборные листы представить къ нему непременно къ 1-му ноября, что и будетъ исполнено со стороны Уѣзднаго Управленія. Іюня 26 дня 1868 г.

Тифлисскій Уѣздный Начальникъ

Кн. Тумановъ.

განცხადება.

ტფილისის უეზდის სამმართველო აცხადებს, რომ უფალმა ტფილისის გუბერნატორმა მისის 31 მოიწერა, რომ მომავალი სამი წლისათვის 1869—დგან სოფლის მოხელეების ამორჩევა გამოცხადდეს, დაიწყოს ამ წელს შემოდგომაზე და მალე გათავდეს; ამორჩევის ფურცლები უეჭველათ გიორგობისთვის დამდეგამდის (პირველამდის) გუბერნატორთან წარედგინოს. ეს ყოველი ასრულდება უეზდის სამმართველოსაგან. თიბათვის 26, 1868 წ. ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი თ. თუმანოვი.

წეს-დება

სოფლის საზოგადოებათა, მათის სასოფლო მმართველობისა და სახელმწიფოთა და სასოფლოთა გარდასახადთათვის

ტფილისის გუბერნიაში.

(დასასრული) (*)

განყოფა მესამე.

სოფლის საგლეხო სუდისა ანუ სასამართლოსათვის.

I. შედგენა სასამართლოსი.

32. სოფლის საგლეხო სასამართლოს შეადგენენ სოფლის სუდიები ანუ მოსამართლენი.

33. სოფლის მოსამართლენი აღირჩევიან სოფლის ყრილობით იმდენნი, რავდენთაც ყრილობა დაინახავს საჭიროდ.

შენიშვნა. სოფლის მოსამართლეებად შეიძლება აღრჩეულ იყვნენ სოფლის მოხელეთ პირთაგანნიცა.

34. სოფლის სასამართლოში უნდა ისხდნენ არა ნაკლებ სამის მოსამართლისა. თუ რომ აკლია ვინმე იმათგანი, დროებით სამაგიერო დაინიშნება ისე, როგორც აჩვენებს 59 მუხლი.

II. განმგეობა და უფლება სასამართლოსი.

35. სოფლის სასამართლო განაგებს, საფუძველსა ზედა ქვემო აღნიშნულთა მუხლთა, როგორათაც ცილობათა და დავათა გლეხთა შორის, აგრეთვე საქმეთაცა იმათ მცირეთ დანაშაულობათა გამო.

36. სოფლის სასამართლო გარდაჰსწყვეტს დაბოლოებით: ყოველთა ცილობათა და დავათა, საკუთრივ იმავ სოფლის საზოგადოების გლეხთა შორის, ფასით ათს თუმნამდე, როგორათაც მოძრავ ქონებასა ზედა და მიწათა ზედა მიცემულთა ერთმანერთში სახმარისად, ეგრეთვე სესხებათა გამო, სყიდვათა, გაყიდვათა და ყველანაირ მორიგებათა და შეკრულობათა გამო, აგრეთვე საქმეთა გარდახდასა ზედა დანაკლისთა და ზიანთა, გლეხთ ქონებისადმი მიყენებულთა.

შენიშვნა. სოფლის სასამართლოს უწყებისა ქვეშე შემოველენ სადავონი, იმავე სოფლის საზოგადოების გლეხთა შორის, საქმენი ისრეთთა ყოველ-ნაირთა უძრავთა მამულთაცა გამო, რომელთაც მფლობელობასა მოდავენი არა დააფუძნებენ კა-

(*) დასაწყისი ნახე 19 №-ში.

ნონიერის რიგით შესრულებულთ სიგელთა ზედა.

37. უკეთუ საქმე აღემატების ათს თუმანს, ანუ დავა შეეხება უძრავსა მამულსა, კუთვნილსა გლეხთადმი საკუთრებად კანონიერის წესით დამტკიცებულითა სიგელითა, აგრეთვე, უკეთუ დავაში ურევიან სხვათა წოდებათა ანუ სხვათა სოფლის საზოგადოებათა პირნი, მაშინ, ყოველ ამ შემთხვევაებში, მოთხოვილებითა ერთის მხრისა, საქმე განიხილვების საზოგადოთა სამსჯავროთა შინა, კანონების ძალით.

38. სოფლის სასამართლო გარდაჰსწყვეტს დაბოლოებით ყოველთა გლეხთა შორის, რა ფასისაც უნდა იყოს, დავათა, რომელთაც მოდავენი, ერთმანერთის თანხმობით, მიანდობენ სოფლის სასამართლოს გარდაწყვეტილობასა. დავანი, რომლებშიაც, გარდა გლეხთა, ურევიან უცხო პირნი, შეიძლება ეგრეთვე, სურვილისამებრ მოდავეთა, მიენდოსთ სოფლის სასამართლოს დაბოლოებითს გარდაწყვეტილობასა.

შენიშვნა. ყოველთა საქმეთა გამო, რა ფასისაც უნდა იყვნენ ისინი, უკეთუ არა დაერთვის მათ დამნაშაობა ანუ შეცოდვილება რაიმე და არა არიან შერეულნი მათში მცირე-წლოვანთ და ჭკუიდგან შეშლილთ სარგებლობანი,—გლეხთა როგორათაც ერთისა, ეგრეთვე სხვა-და-სხვათა სოფლის საზოგადოებათა, აგრეთვე სხვათა წოდებათა პირთა, შეუძლიათ, ნაცვლად სოფლის სასამართლოსი, მიჰმართონ, ერთმანერთის თანახმობით, მედიატორების სვინიდისით სამართალსა, თვინიერ ყოვლისა ფორმებისა, უნდა-კი მიჰსცენ მხოლოდ საკუთარი ხელწერილი, რომ ამა და ამ შუაკაცებს ანდობენ თავიანთის საქმის გარდაწყვეტილობასა. მედიატორეების განაჩენი ამ შემთხვევაებში შეჰსდგება, გამოეცხადება მოდავეთა და მოყვანილ-იქმნება აღსრულებაში იმავეს რიგით, რომლითაც თვით სოფლის სასამართლოს განაჩენები (მუხლნი 50 და 51). რასაც მედიატორები გარდაჰსწყვეტენ, იმაზე საჩივარი არსად აღარა მიიღება-რა.

39. სოფლის სასამართლო გაარჩევს და დაუნიშნავს სასჯელსა გლეხთა, სოფლის საზოგადოების-ადმი კუთვნილთა, არა მძიმეთ დანაშაულობათათვის, როდესაც ესე დანაშაულობანი მომხდარან თვით სოფლის საზოგადოების სამძღვარში პირის-პირ იმავე წოდების პირთა და თვინიერ მონაწილეობისა სხვათა წოდებათა პირთა, ეგრეთვე როდესაც ხსენებულნი დანაშაულობანი არა არიან შეერთებულნი მძიმეთა სასისხლოთ შეცოდვილებათა თანა, რომელნიცა განსამართლდებიან საზოგადოთ სამსჯავროთაგან. უკეთუ დანაშაულობათა შინა ურევიან გლეხნი სხვა სოფლის საზოგადოებისანი, მაშინ დამნაშავეთა დაუწესებს სასჯელსა იმ სოფლის საზოგადოების სასამართლო, რომლისაც სამძღვარში მომხდარა დანაშაულობა.

შენიშვნა. სხვათა წოდებათა გინა სხვათა საზოგადოებათა პირთა, რომელთათვისაც გლეხთ მიუყენებიათ ვნება, შეუძლიათ, უკეთუ მოინდომეს, იძიონ ჯეროვანი კმაყოფილება ადგილობით- სოფლის სასამართლოში, ანუ საზოგადოთ სამსჯავროთა შინა.

40. სოფლის სასამართლოს აქვს უფლება, მცირეთა დანაშაულობათათვის, გარდაუჴრას დამნაშავეთა: მუშაობა სოფლად ექვსს დღემდინ, ანუ ფულის გარდახდევინება სამს მანათამდინ, ანუ ტუსაღობა შვიდს დღემდინ. დანიშვნა და ზომაც ერთისა ანუ მეორის სასჯელისა თვითოეულის დანაშაულობისათვის მიენდობა თვით სოფლის სასამართლოს მიხედულობასა.

41. გარდაჴრილნი როგორათაც სოფლის სასამართლოსაგან, ეგრეთვე მამასახლისისაგანაც ფულის ჯარიმაები (მუხლი 27 და 40), მიიქცევიან სასოფლოს ფულში.

შენიშვნა. ჯარიმა, გარდაჴრილი 40 მუხლის ძალითა, მიიქცევის იმ სოფლის საზოგადოების ფულში, სადაც უწარმოებია სამართალსა, იმ შემთხვევაშიაც, თუნდ რომ დამნაშავე ეკუთვნოდეს სხვა სოფლის საზოგადოებას.

42. სოფლის სასამართლოს გარდაწყვეტილობანი იმ დანაშაულობათა გამო, რომელნიც ეკუთვნიან იმის განხილვას, შეირაცხებიან დაბოლოებითად.

43. გარდა საქმეთა წინა მუხლებში მოხსენებულთა, სოფლის სასამართლოს უწყებას ქვეშ შემოვალს გასყიდვაცა კერძოობითის საგლეხოს ქონებისა—ხაზინის, ანუ ეკკლესიის, ანუ მებატონის გინა სხვა კერძოს პირის ვალში, თვინიერ კი იმ შემთხვევათა, რომელნიც კანონით მიენდობიან საზოგადოს პოლიციასა.

III. რიგი წარმოებისა და გარდაწყვეტისა საქმეთა.

44. სოფლის სასამართლო შეიყრება, შეძლებისა და სიმარჯვის გვარად, კვირაობით და უქმეს დღეობით; საჭიროს შემთხვევაში-კი, დაინიშნება სოფლის მამასახლისისაგან სხვას დღეებშიაც.

45. სოფლის სასამართლო შევა ცილობათა და დავათა განჩხრეკაში მხოლოდ მაშინ და არა უიმისოდ, თუ არ თვით მოდავის საჩივრითა. განჩხრეკასა შინა დანაშაულობათა გამო სასამართლო შევა:

1) როდესაც იჩივლებს ვნება-მიყენებული, ანუ, იმის უსაკობისა გამო, იმის მამა ანუ დედა, გინა აპეკუნი;

2) როდესაც მოითხოვების მამასახლისისაგან, ანუ ნაცვლებისაგან, და

3) როდესაც მოვა და გამოაცხადებს ის პირი, რომელიც ყოფილა დანაშაულობისა დამსწრე, უკეთუ ვნება-მიყენებულმა თვით ვერ შეიძლო ჩივილი.

46. სოფლის მამასახლისი და ნაცვლები არ უნდა გაერივნენ სოფლის სასამართლოს საქმეებში და არცა დაესწრნენ იმათს განსჯაში, უკეთუ არ არიან აღრჩეულნი, კანონიერის აღრჩევით, სოფლის მოსამართლეებათაც (ნახე შენიშვნა 33 მუხლისადმი).

47. ყოველი საქმე სოფლის სასამართლოში იწარმოებს სიტყვით.

48. სადავოს საქმის განხილვის დროს სოფლის სასამართლოში, მოსამართლენი, მოუსმენენ რა მოდავეთა პირთა, ეცდებიან მშვიდობიანად მოარიგონ იგინი. თუ რომ მოდავენი მორიგდნენ, მაშინვე უნდა გამოაცხადონ, თუ ერთი რასა ჰსთმობს ანუ რით შეიჯერიებს მეორესა, და რას სახით უნდა მოხდეს დაკმაყოფილება. უკეთუ მოდავეთ არ მოიწადინეს მშვიდობიანათ მორიგება, მაშინ სასამართლო გარდაჰსწყვეტს საქმესა გინა ძალითა სასამართლოში გამოცხადებულთა პირობათა და შეკრულობათა, უკეთუ ყოფილან შედგენილნი ამ გვარი პირობაები და შეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულობაები მოდაევეთა შორის, გინა, თუ რომ არ აღმოჰსჩნდა ესრეთი ქაღალდები, — ძალითა იმ ჩვეულებათა და რიგთა, რომელნიც გლეხთ ცხოვრებაში არიან მიღებულნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სოფლის სასამართლო იქმნების წიგნსა ჩასაწერელად გამოცხადებულთა მუნ მორიგებათა და პირობათა. ამ წიგნში შეიტანებიან ყველანაირნი მორიგებანი და შეკრულობანი (ოცდაათს თუმნამდინ), შედგენილნი გლეხთაგან, როგორათაც ერთმანერთში, ეგრეთვე გარეშე პირთა-თანაცა, როდესაც ესრეთნი მორიგებანი და შეკრულობანი არიან სიტყვით აღვიარებულნი დასწრობით არა ნაკლებ ორის მოწმისა და ხელმოწერილნი ორივეს მხრისაგან, ანუ, იმათის თხოვნით, სხვა ვისგანმე, წიგნის უცოდინლობისა გამო. ამ წიგნში ჩაწერილობათა, ეგრეთვე მიცემულთა იმათგან დამოწმებულთა კოპიოთა ანუ პირთა, აქესთ, დავის დროს, ძალა სამსჯაროს საბუთებისა. ეს წიგნი მიეცემის სოფლის სასამართლოს ყოველ-წლივ, ზონრით, ბეჭდით და დამოწმებით, ბუბერნატორის განკარგულებითა.

49. საქმეთა შინა დანაშაულობათა გამო, უკეთუ სოფლის სასამართლომ ჰპოვა ჩვენებანი პირთა საქმისადმი მიზიდულთა არა საკმაოდ, მაშინ, საქმის სიცხადეში მოსაყვანებლად, სასამართლოს შეუძლია თვითვე მოახდინოს საჭირო გამოძიება დასწრებითა ორთა ანუ მომატებულთ მოწმეთა ადგილობითთ გლეხთ უფროსთ კაცთაგანთა.

50. სოფლის სასამართლოს განაჩენები და გარდაწყვეტილობაები შეჰსდგებიან წერილით და გამოეცხადებათ მოდავეთა და საქმისათვის მიზიდულთა პირთა სასამართლოს კრებაში. მოდავეთა, უკეთუ მოინდომეს, მიეცემათ განაჩენების პირები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიცემისათვის პირებისა როგორათაც სოფლის სასამართლოს განაჩენთაგან, ეგრეთვე მორიგებათა და პირობათაგან ჩაწერილთა ამა საგანზედ დაწესებულს წიგნში (ნახე შენიშვნა 48 მუხლისა), გამოერთმევათ მიმღებთა პირთა ფურცელზედ არა უმეტეს ორ ის აბაზისა შესავსებელად წერის ხარჯთა შეიწონ.

51. სოფლის სასამართლოს განაჩენები და გარდაწყვეტილობანი, როგორათაც დავათა, ეგრეთვე დანაშაულობათა გამო, მოიყვანებიან აღსრულებაში სოფლის მამასახლისისაგან ანუ ნაცვლებისაგან — უკანასკნელს შემთხვევაში მამასახლისის თვალის-დაჭერით და ორთავე იმათის პასუხის-გებით.

თავი მესამე.

დანიშვნა და განშორება სოფლის მოხელეთა პირთა, იმათი უფლებანი და პასუხის-გება.

ბ ა ნ ყ ო ფ ა პ ი რ ე ე ლ ი.

როგორ უნდა დაინიშვნენ და განშორდნენ მოხელენი პირნი.

52. სოფლის მოხელეთ პირთაგანნი ზოგნი დაინიშვნებიან აღრჩევით, ზოგნი — როგორც სოფლის საზოგადოება დაინახავს, შეიძლება ანუ დაინიშვნენ აღრჩევით, ანუ დაჭერილ-იქმნენ ჯამაგირით.

53. აღრჩევით დაინიშვნებიან:

1) სოფლის მამასახლისი;

2) ნაცვლები იქ, სადაც არიან იგინი დაწესებულნი (მუხლი 6), და

3) სოფლის მოსამართლენი.

54. სხვა მოხელე პირნი, ესე იგი: გზირები, მეველეები, მერუეები და სხვანი ამ გვარნი დაინიშვნებიან, სოფლის საზოგადოების მიხედვით, გინა აღრჩევით, გინა ჯამაგირით. უკანასკნელს შემთხვევაში შეიძლება დაინიშვნენ კარგის ყოფაქცევის გარეშე პირნიცა.

55. იმ ხელობათა ზედა, რომელშიაც დაინიშვნებიან აღმორჩევით, არ შეიძლება აღმორჩეულ იყვნენ:

1) პირნი ოცდა-ხუთს წელზე ახალგაზდანი;

2) პირნი გლეხულნი სამსჯაროს გარდაწყვეტილობითა ანუ სამსჯაროსაგანვე იჭეს ქვეშ დატეებულნი, ეგრეთვე რომელნიც იმყოფებიან სამართლისა და გამოძიების ქვეშ და არიან ცუდის ყოფაქცევით გათქმულნი.

ამასთანავე, სოფლის მამასახლისი, ნაცვლები და სოფლის მოსამართლენი აღრჩევიან ნამეტნავად გლეხთ სახლის-უფროსთ კაცთაგან.

56. სოფლის მამასახლისი და სოფლის მოსამართლენი აღრჩევიან სოფლის ურილობისაგან.

57. ნაცვლები აღრჩევიან ეგრეთვე სოფლის ურილობისაგან. მაგრამ იმ სოფლის საზოგადოებაში, რომელსაც შეადგენენ მცირეხალხიანნი სოფელნი გინა ერთ-ერთ-ნი გლეხთ საზოგადოებანი, ნაცვლები აღირჩევიან იმ სოფელთ და იმ საზოგადოებათ შინაურთ ურილობათაგან (მუხლი 21), იმათისავე გლეხების რიცხვიდგან. შინაურნი ურილობანი აღირჩევენ ნაცვლებსა იმავეს რიგით, როგორც სოფლის საერთო ურილობა აღირჩევს პირთა იმის აღრჩევაზე დამოკიდებულთა.

58. მოხელენი პირნი, აღრჩევით დასანიშნავნი, აღირჩევიან სამის წლით, გარდა ხარჯის მომკრეფისა, რომლისათვისაც ვადა სამსახურისა დაწესდება ერთი წელიწადი; იმ მოხელეთათვის-კი, . რომელნიც დაინიშვნებიან ჯამაგირით, ვადა არა დაიდება რა. მინც შეასრულებს თავის ვადას, ის შეიძლება იყოს ხელ-ახლად აღრჩეული ანუ დანიშნული, იმავეს ანუ სხვას ხელობაში, მაგრამ-კი იმის ამაზედ თანახმობითა.

59. სოფლის მამასახლისის, მოსამართლეების და ნაცვლების ხელობაზედ აღირჩევიან ორ-ორი პირნი, ასე რომ ერთი მათგანი შეავ ხელობაში, რომელზედაც არის აღრჩეული, მეორეს-კი ექნება ვალად ასრულოს იმის თანამდებობა დროსა იმის არყოფნობისა, სიკვდილისა, მძიმეს ავათმყოფობისა, ხელობიდგან გადაყენებისა და სხვათა ამ გვართა შემთხვევათა.

60. აღრჩეულს რომელსამე ხელობაზე პირსა არ შეუძლია უარ-ჰყოს მიღება ამ ხელობისა, გარდა მხოლოდ შემდგომთა შემთხვევათა:

1) უკეთუ არის იგი უმეტეს სამოცის წლისა;

2) უკეთუ შეუსრულებია კიდეც აღრჩევით თავისი სრული ვადა;

3) უკეთუ არის მეტად დასნეულებული სხეულით, და

4) უკეთუ სხვა და სხვათ საქმეთა გამო, არ შეუძლია ჭქონდეს ნიადაგ ბინა სოფლის საზოგადოებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უკანონოდ აღრჩეულთ გლეხთა, რომელთაცა ამ მუხლის ძალით აქესთ უფლება არა მიიღონ სასოფლო სამსახური, შეუძლიათ იჩივლონ მახლობელს მთავრობასთან, რომლისაც უწყებას იგინი ეკუთვნიან. დროებით-ვალდებულნი გლეხნი ამ გვარ საჩივარსა შეიტანენ მიროვის პოსრედნიკთან.

61. სოფლის მამასახლისი და სოფლის მოსამართლენი დამტკიცდებიან თანამდებობათა შინა, ადგილობითის უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკის წარდგენით, გუბერნატორისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როდესაც სოფლის საზოგადოებაში იმყოფებიან მხოლოდ დროებით-ვალდებულნი გლეხნი ანუ ნახევარზე უფრო მეტნი სხვათა უწყებათა გლეხთა ზედა, მაშინ აღრჩევის ფურცელი მამასახლისზე და მოსამართლეებზე წარედგინების ადგილობითს მიროვის პოსრედნიკსა, ხოლო იმისაგან წარიგზავნების, ჯეროვანის განკარგულებისათვის, უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკთან, კუთვნილებისა-მებრ.

62. ნაცვლები დამტკიცდებიან თვითვე უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკისაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნაცვლები, აღრჩეულნი დროებით-ვალდებულთ გლეხთაგან, რომელნიც შეადგენენ ერთს სოფლის საზოგადოებასა ანუ მხოლოდ ნაწილსა მისსა, დამტკიცდებიან უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკისაგანვე. მაგრამ-კი იმათს აღრჩევაზედ უნდა წინათვე ეკითხოს თანხმობა ადგილობითს მიროვის პოსრედნიკსა.

63. უკეთუ ვისიმეს უკანონოდ აღრჩევაზედ, ანუ თჳით აღრჩევის უკანონოდ მოხდენაზედ წარჰსდგა საჩივარი უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკთან არა ორ კვირაზე გვიან აღრჩევის უკან და არა ნაკლებ მეხუთედის ნაწილისაგან ერთობ ყოველთა სახლის მეუფროსეთა გლეხთა სოფლის საზოგადოების შემადგენელთა, მაშინ უეზდის ანუ ოკრუჟნის ნალნიკი, რომელსაც ეკუთვის საქმე, შევლენ განხილვაში, კანონიერად მომხდარა აღრჩევა თუ არა, და თუ აღმოჰსჩნდა ჩივილის სისწორე, მოახდენინებენ თავისთან ახალს აღრჩევას.

64. სოფლის მამასახლისი, სოფლის მოსამართლენი, ეგრეთვე ნაცვლები ჯერ დაფიცებულ-იქმნებიან უეზნდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკისაგან, და იმის შემდგომ შევლენ თანამდებობის აღსრულებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნაცვლები დროებით-ვალდებულთ გლეხთაგან დაფიცებულ-იქმნებიან მიროვის პოსრედნიკისაგან. მისგანვე მიიღებენ ფიცსა სხვა აღრჩეულნი მოხელე პირნიცა იმ სოფლის საზოგადოებაში, რომელიც შეჰსდგება მარტო დროებით-ვალდებულთ გლეხთაგან ანუ რომელშიაც გლეხნი ესე იქმნებიან ნახევარზე გარდამეტებულ სახელმწიფო ანუ საეკკლესიო უწყებათადმი კუთვნილთა გლეხთა.

65. სოფლის მამასახლისი, უკეთუ ვერ გაუძლევა თავის თანამდებობის რიგზედ აღსრულებასა, ანუ შენიშნულ-იქმნა რაისამე ბოროტმოქმედებაში, გადაჰყენდების თანამდებობიდგან გუბერნატორის განკარგულებითა. მიზეზთა გამო მეტად-მისაღებთა, უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკს შეუძლიათ დროებით განაშორონ სოფლის მამასახლისი თანამდებობიდგან, ხოლო სრულად გადაყენებაზედ უნდა გამოსთხოვონ ნება გუბერნატორსა; ნაცვლების გადაყენება-კი დაბოლოებით შეუძლიათ იმათ, იმავ მიზეზებისა გამო, საკუთარის თავიანთის უფლებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სოფლის საზოგადოებაში, რომელიც შეჰსდგება ერთიან დროებით-ვალდებულთ გლეხთაგან მიროვის პოსრედნიკი, დიდის გარდამავლობისათვის, განაშორებს მამასახლისსა დროებით, ხოლო გუბერნატორის დამტკიცებით, გადააყენებს სრულებითაც თანამდებობიდგან; საზოგადოებაში-კი, რომელშიაც იმყოფებიან სახელმწიფო და საეკკლესიო გლეხნიცა, თუ რომ, მიროვის პოსრედნიკის ჰაზრით, მამასახლისი დროებით განსაშორებელი, გინა სრულიადცა გარდასაყენებელი იქნება თანამდებობიდგან, იგი წარუდგენს გუბერნატორის მხედველობას. ნაცვალს კი საკუთრივ დროებით-ვალდებულთ გლეხთ საზოგადოებაში მიროვის პოსრედნიკი გადააყენებს დროებით, და თუ საჭირო იქნება სრულებითაც თავის საკუთარის უფლებითა.

66. განწესება და დათხოვნა სხვათა, არა მოხსენებულთა ამა წინა მუხლებში (56 – 65) მოხელეთა პირთა მიენდობა თვით სოფლის ყრილობასა.

განყოფა მეორე.

უფლებათა და პატივთათვის მოხელეთა პირთა.

67. დანიშვნა ჯამაგირისა ანუ სხვა რაჲსამე გასამრჯელოსი მოხელეთა პირთა-დმი, რომელნიც იმსახურებიან აღრჩევით ანუ ისე დაჭერით, მიენდობა საკუთარს მხედველობას სოფლის საზოგადოებისას, რომელზედაც დამოკიდებულია აღრჩევა და დაჭერა ამა პირთა.

68. ყოველნი აღრჩევით დანიშნულნი პირნი, მანამ სამსახურში არიან, განთავისუფლდებიან, თავიანთის სახლობით, ყველა ბეგრულ გარდასახადთაგან, რომელთაც იმათ მაგიერ აღასრულებენ ერთობ სხვანი სოფლის საზოგადოების გლეხნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გლეხთა, რომელთაც უჭირავსთ ერთობ რაიმე სასოფლო ხელობა, ეგრეთვე რომელთაც არა უჭირავსთ ეს ხელობა, გამოჩენილის ღვაწლისათვის, ებოძებათ მედლები და საპატივო ჩოხები, ხოლო დასაჯილდოებლად სხვა-რიგ გარჯილობათა და მოსაწონთა მოქმედებათა მიეცემათ ქების ქაღალდები.

69. აღრჩევით დანიშნულნი მოხელენი პირნი, სამსახურის აღსრულების დროს, იტარებენ თავის ხელობის ნიშანთა, რომელიც დაერიგებათ მათ მთავრობისაგან.

განყოფა მესამე.

პასუხის გებისათვის მოხელეთა პირთა.

70. ყოველნი სასამართლო ადგილნი და მთავრობის პირნი, უკეთუ დაინახავენ საჭიროდ, რათა გარდაჰხდესთ მამასახლისსა და ნაცვლებსა იმათ უწყებათ საქმეთა გამო, განუცხადებენ ამაზედ, კუთვნილებისა-მებრ, უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკსა, რომელნიცა, დაერწმუნებიან რა იმათის მოთხოვილების ჭეშმარიტებას, მოახდენენ ჯეროვანსა, გარემოების მიხედვით, განკარგულებასა.

71. მცირე დანაშაულობათათვის თანამდებობისა გამო, უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკი ამცნებინებენ სოფლის მამასახლისსა და ნაცვლებსა ამ დანაშაულობათა, მისცემენ საყვედურს, გადუჭრიან ფულის ჯარიმას ხუთს მანათამდინ, ანუ დაატუსაღებენ შვიდს დღემდინ; როდესაც-კი ამ გვარი გარდახდევინება ამ გვარ დანაშაულობათათვის უნდა მიჰყენდესთ სოფლის მოსამართლეთა, მაშინ ესე წარედგინება გუბერნატორის მხედველობას.

72. მძიმეს დანაშაულობათა და შეცოდვილებათათვის, მოხელენი პირნი სოფლის მმართველობისანი მიეცემიან სამართალს: ნაცვლები—განკარგულებითა თვით უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკისათა, ხოლო სოფლის მამასახლისნი და მოსამართლენი—წარდგენითა ერთისა ანუ მეორისა და გუბერნატორის ნებადართვითა.

73. თანამდებობაში შეცოდვილებათათვის ყოველნი სოფლის მოხელენი პირნი განჰსჯელ-იქმნებიან ადგილობითს უეზდის სუდში ანუ სამსჯავროში.

74. საჩივრები სოფლის საზოგადოებათაგა̃, ეგრეთვე საჩივრებიცა კერძოთ პირთაგან უკანონოთა სამსახურისა გამო მოქმედებათა ზედა სოფლის მოხელეთა პირთა, მიეცემიან უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკსა, კუთვნილებისა-მებრ.

75. უკეთუ უეზდის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკმა ყური არ უგდო მიქცეულთა მათდამი, 70—74 მუხლების ძალით, გამოცხადებულთა და ჩივილთა უკანონოთ მოქმედებათა გამო სოფლის მოხელეთა პირთა, მაშინ შეიძლება მოხსენდეს ესე, გამოცხადებისა ანუ ჩივილის დროდგან ერთს თვეზე, გუბერნატორსა, რომელიც დაბოლოებით გარდაჰსწყვეტს ამ საქმეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ყოველივე როგორათაც ამ მუხლში, ეგრეთვე წინამავალ მუხლებშიაც (70—74) დაწესებული შესახებელად უეზდნის და ოკრუჟნის ნაჩალნიკთა, გარდაიტანების მიროვის პოსრედნიკებზედაცა იმ უფლებათა ზომით, რომელიც მითვისებულ არს მათდა მათის და გუბერნსკის პრისუტსტვიის წეს-დებითა—სოფლის საზოგადოებათა შინა, შედგენილთა ერთიან დროებით-ვალდებულთ გლეხთაგან ანუ რომელთა შინაცა გლეხნი ესე შეადგენენ რიცხვით ნახევარზედ უმეტეს სხვათა უწყებათა გლეხთა.

ნაწილი მეორე.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ ა ს ა ს ო ფ ლ ო გ ა რ დ ა ს ა ხ ა დ ნ ი გ ლ ე ხ თ ა.

76. მიცემა სოფლის საზოგადოებისაგან სახელმწიფოთა, ესე იგი ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ა და ს თ ე მ ო თ ა (ზემსკის) ხარჯთა და გარდასადთა, დაჰშთება იმავე საფუძველზედ, როგორც არის დღეს.

77. ზარდა სახაზინოთა და სათემოთა გარდასახადთა, სოფლის საზოგადოებათ მიენდობვალდებულობითი აღსრულება შემდგომთა სოფლოთა გარდასახადთა:

1) შენახვა სასოფლოს მმართველობისა;

2) ხარჯი ყვავილის-აცრისა გამო, და მიღება წარწერილთა მკურნალობის ქანონებით ღონის-ძიებათა, გაჩენის დროს შესაყართა სენთა და საქონლის ჭირთა;

3) შენახვა რიგზედ შინაგანის სასოფლოს გზებისა, მიჯნებისა და მიჯნის ნიშნებისა, წყაროებისა და რუებისა მიწათა ზედა, კუთვნილთა საკუთრებად სოფლის საზოგადოებათადმი, ანუ მყოფთა იმათს სანიადაგოს სარგებლობაში;

4) შენახვა ყარაულებისა სოფლებში;

5) მზრუნველობა უმოხუცესთა, დაუძლურებულთა და დაშავებულთა გლეხთა გამო, რომელთაცა არა ძალუძსთ თავიანთის შრომით გამოჰკვება თავის თავისა, რომელთაცა არა ჰყავთ ნათესავები, და ანუ რომელთაც ნათესავებსა არა აქვსთ შეძლება იმათის შენახვისა; მოვლა უდედ-მამო ობოლთა;

6) განკარგულების მიღება ცეცხლის გაჩენის დროს (შინ თუ ტყეში), წყალის მოვარდნის დროს, ეგრეთვე ამოსაგდებლად კალიისა, მავნებელთა მხეცთა, და სხვათა ამ გვართ საზოგადოთ უბედურებათთა დროსა, და

7) გამართვა და შენახვა სასოფლო პურის მაღაზიებისა, კანონის ძალით.

78. ყველა კერძო გლეხთ საზოგადოება სოფლის საზოგადოებაში პასუხის-მგებელია, საერთოს თავდებობით, თვითოეულის მისდა კუთვნილის გლეხისათვის, რომ რიგზედ აღასრულებდნენ სახაზინოთა, სათემოთა და სასოფლოთა გარდასახადთა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქერძოთ გლეხთ საზოგადოებათა აქვსთ ნება, ერთიერთმანერთის თავდებობის შესამსუბუქებლად, შეერთებულ-იქმნენ ერთმანერთთან, საზოგადოთა მათითა ამაზედ გარდაწყვეტილობითა.

79. განწილვა სოფლის საზოგადოებაში სახაზინოთა და სათემოთა გარდასახადთა გლეხების კერძოთა საზოგადოებათა შორის მოხდება ერთიან სოფლის ყრილობაში; ხოლო თვითოეულთა გლეხთა შორის იმა საზოგადოებათა—კერძოობითს ანუ შინაურს ყრილობაში (მუხლი 21). განწილვა-კი სასოფლოთა გარდასახადთა მთელს სოფლის საზოგადოებაზედ მოხდება მთელის სოფლის საზოგადოებისაგან, სოფლის ყრილობაში.

მ ო წ ე რ ი ლ ი ა: ნაჩალნიკი ქავკასიის ნამესტნიკის
გლავნის უპრავლენიისა, სენატორი,
სტატს-სეკრეტარი
ბ ა რ ო ნ ა. ნ ი კ ო ლ ა ი.

არა ოფიციალური ნაწილი.

საქონლის ჯიშის გაუკეთესება

კ ა რ გ ი მ ო ვ ლ ი ს შ ე მ წ ე ო ბ ი თ.

საქონლის ჭირის გაუმჯობესობისთვის, ესე იგი ცუდი ჯიშისაგან კარგი ჯიშის გამოყვანისათვის, ორ გვარი საშუალებაა: ერთი საშუალება ის არის, რომ კარგი ჯიშის ბულას სხვა ჯიშის ფურთან შეაერთებენ და იმ შეერთებიდგან ჩამოსულ ხბოს ექნება ბულის კარგი თვისება, ან კარგი ჯიშის ფურს შეაერთებენ სხვა რომელსამე ბულასთან და სხვ. მეორე საშუალებაც ჯიშის გამჯობინებისთვის—კარგი მოვლა, ესე იგი არც კარგი ჯიშის ბულაა საჭირო და არც ფურები, საჭიროა მხოლოდ საქონლის კარგი მოვლა და ბეჯითი ყურისგდება.

ამ ორ გვარ საშუალებაში ჯიშის გასამჯობინებლად მეორე გვარი, ესე იგი საქონლის მოვლითა და ყურის გდებით გაუმჯობესობა უფრო ადვილია და ყველა საქონლის პატრონს ადვილად შეუძლიან, რადგან არც ძალიან ბევრი ხარჯი მოუნდება და არც მომეტებული წვალება. კარგი ჯიშის ბულითა და ფურების ჯიშით გაუმჯობესობას კი ხარჯიც ბევრი უნდა და სხვა არა იყოსრა იმათი შოვნისთვის რამდენი ფულია საჭირო და მოვლა და ყურის გდებაც უფრო ბეჯითი, რომელსაც ყველა ვერ მოახერხებს.

მოვლით ჯიშის გაუმჯობესობას მართალია ბევრი ხანი უნდება, მაგრამ უფრო სახერხო და საიმედო არის და ამასთან უბრალოც, ასე რომ ყველა ჩვენ სოფლის მეოჯახეს ადვილად შეუძლიან თავის საქონლის ჯიში გააუმჯობესოს, თუ კი მოინდომებს.

ამისთვის აქ ავწერთ, თუ ერთ ნემეცის მებატონეს რა ოსტატობით და მოვლით გაუმჯობინებია თავისი საქონლის ჯიში, რომელიც პირველად ყოფილა ძალიან უბრალო და თითქმის უხეირო ჯიშისა. ან ნემეცის მებატონე თავის საქონლის ჯიშის გასაუკეთესებლად ათ წელიწადსა ცდილა დაუცხრომელად, და ეხლა მთელი იმისი საქონელი ისეთი ჯიშისა არის თურმე, რომ იმის ფურებისთანა, ამბობენო, ძნელად მოიპოვება მთელ ქვეყანაზედ. ამ ორი სამი წლის წინად იმას წარმოუდგენია ერთ გამოფენაზედ თავის სა-

ქონლის ჯიშის შავი ფური. ეს ფური ეხლაც თურმე ცოცხალია და ამბობენ მთელ ქვეყანაზედ ბადალი არა ჰყავსო.

ამ მდგომარეობამდის იმას მიუღწეია შემდეგი ოსტატობით. ია განსაკუთრებით ყურადღებას საქონლის სიმრთელეზედა ჭმეაზედ აპყრობს.

ოცდა შვიდი ენკენისთვიდგან ოცდაშვიდ ღვინობისთვემდის შუადღემდის და შუადღეს შემდეგ ის გამოარეკინებს ხოლმე თავის საქონელს ნორჩ იონჯაზედ და რამდენიმე საათს აძოებინებს; ეს საქონლის იონჯაში სიარული აყამირებს ნიადაგს და ამისგან იონჯის მოსავალი მომავალ წელში უკეთესი მოდის. სხვა დროს კი საქონელი მუდამ გომში ჰყავს და იქ უელიან. შუადღისას მოწველამდის საქონელი წყლის დასალევინებლად მიჰყავსთ. ფურებს სწველენ დილის ხუთ საათზედ, შუადღეზე ნახევარ საათით წინ და საღამოს ექვს საათზე; საჭმელს აძლევენ ხუთ საათზე, რვა საათზე, თერთმეტ საათზე, ერთ საათზე, ოთხს საათზე და შვიდ საათზე (საღამოზე); გომს ყოველ დილით უწმენდენ და სასუქიც მაშინვე გამოაქვსთ გარეთ. ყოველ წელიწადს, ზაფხული რომ დადგება (აპრილის ბოლო) ყველა ფურებს სისხლს უშვებენ.

იმისთვის რომ კარგი მეწველი ფურები გამოვიდნენ, ხბორების მოელაზედ დიდ თავლ ყურს ადევნებენ.

რაწამს დაიბადება ხბო, მაშინვე ფქვილს წაყრიან ზედ და დედას დაუდებენ წინ; დედა რომ გალოკს იმას, მაშინ წაიყვანენ ცალკე და მხოლოდ ჭამისთვის დანიშნულ დროს მიუშვებენ დედასთან მოსაწოვად; ამ გვარად ხბო დაბადებიდგანვე ეჩვევა ჭამაში რიგს.

როდესაც ხბო საკმაოდ მოსწოვს, მაშინ მოაშორებენ და მოსწველენ ფურს; ახალი მოგებული ფურის რძეს ოთხ-ხუთ დღემდის არ ურევენ სხვა ფურების რძესთან, მანამ ადუღების დროს აღარ ახაჭოდება.

მესამე კვირას ხბორები ცალკე სადგომში გადაჰყავსთ; აქ იმათ დღეში სამჯერ სასველეპავს აძლევენ: ერთხელ დილის ხუთსა და ექვს საათს შუა, მეორედ—თერთმეტ საათსა და შუა დღეს შუა და მესამეთაც—საღამოს ექვსსა და შვიდ საათს შუა. სხვა დროს კი ხბორებს იმდენ თივას აძლევენ, რამდენიც კი დასჭირდებათ.

სასველეპაეში ურევენ რამდენსამე სელის თესლს, და მოხსენებული ნემეცის მებატონე ამას აბრალებს, რომ იმისი დეკეულები ძლიან ლონიერები იზრდებიან, ასე რომ თოთხმეტი თვისანი ახურდებიან ხოლმე. სელის თესლში რძის მსუქანი ნაწილები იმყოფება და ამისთვის ის რძის მსგავსად ემსახურება რძე-გაშვებულ ხბორებს. სელის თესლს ჰხარშავენ სამ წილ წყალში (ზომითერთი წილი თესლი უნდა და სამი წილი წყალი); თითო ხბოს დღეში თითო გირვანქა სელის თესლს და თითო გირვანქა ფქვილს ახმარებენ; სელის თესლსაც და ფქვილსაც სასველეპაეში ურევენ.

(შემდეგი იქნება).

მამონტის *) მიწის მღვიმე კენტუკიში ამერიკაში.

ბუნება ამერიკაში დიდებულია; იქ ყოველივე ვეება სახის არის. იქაური მდინარები გვანან განიერს ზღვის ტოტებსა, და ტბები თვით ზღვებსა. მთელს ქვეყანაზედ კაცი ვერა ჰპოვებს იმისთანა მთებსა, სათიბს მინვრებსა, გუბეებსა და ტყეებსა, როგორც იქა. ეს არის საზოგადო ხასიათი იქაურის ქვეყნისა, იმის ბუნებისა. ესევე ხასიათი სჩანს იმ საიდუმლოს სიღრმეშიაც ამერიკის მიწისა, საცა კი კაცს შემთხვევია იმის გაჩხრეკა და მიწის გულის გასინჯვა. ფერცხლისა და სხვა ლითონისა მადნის ძარღვები არიან გაფენილნი სქლათ და დიდს სივრცეზედ და ჰგვანან ნაკადულთა, და მღვიმენი არიან ისეთნი დიდნი, რომელშიაც შეიძლება დაეტიოს რამოდენიმე ასი ათასი კაცი, ასე რომ სივრცით არ დაუვარდებიან რომელსამე ზერმანიის საგერცოგოს.

უველაზედ დიდი იმ მღვიმეებში, ყველაზედ მშვენიერი არის მამონტის მღვიმე კენტუკიში: ის არის მახლობლად ლუიზვილისა, და ეკუთვნის დოკტორს ქრონანის, ამიტომ რომ იმის მიწის ქვეშ არის ის გაბმული. ვისაც უნდა ჩასელა იმ მიწის ქვეშეთს მღვიმეში, იმას უნდა ჰქონდეს თან მრავალი ჭინჭილი, თორემ ნახევარ ვერსტსაც ვერ გაიელის უიმისოთ. ოცრმოცდა ათს ფუტს **) სიღრმეზედ ჩადის კიდევ შუქი მზისა, და ძალიან საჭირო ანთება კვარისა, რომლისა შემწეობითაც მიდის განიერის დერეფნით და ჩადის უფრო და უფრო ღრმათ მიწაში, რომელიც გადაეფენა ბოლოს დიდს მღვიმეში ისეთის მშვენიერ ჭინჭილისა ძლიეს აუწევს წვერზედ. და სადუმლო სიბნელისაგან მისისა სჩანს სხვა და სხვა სურათები. ხან სჩანს ვითომც იყურებოდეს რაღაც უშვერი პირის სახე; გგონია, რომ ის არის თავი ქვისაგან გათლილი; რაც მიხვალ კვარით, ნახავ, რომ ეს არ არის თავ გაშვერილი ქვა. ბრუნდე სინათლე ჭინჭილისა მას აძლევს ყალბ პირსა, თვალებს.

ერთმა ანგლიის მოგზაურმა ამ ორის წლის წინეთ დასინჯა წვრილათ ის მღვიმეები; მოიხმარა იმათ დასაშინჯავათ მთელი დღე, როგორც ამოვიდა მზე, ის ჩავიდა იმ მღვიმეში, გაიარა მიწის ქვეშ ორმოცდა თუთხეტი ვერსი და რვა საათზედ ღამისა ამოვიდა ისევ ზეკით. იმას იქ შეხვედა ხშირათ ჩამოტომა მაღალის კლდეებიდამ, ასევა მთებზე ჩამოხტომა გამოშვერილს კლდეებზედ, ბაწრით ჩამოშვება; ნაპირი მიწისა იქ ნახა სწორი პოლიეთ დაგებული, ხან უსწორო-წორი, ხშირად შეხვდა გაცურვა ტბებში ჩქარს ნაკადულებში. იქ მიწის სიღრმეში თეულს ნაბიჯზედ ხედავდა ანუ შეეყრებოდა ხოლმე რასმე ახალსა. უნახავსა ალაგ-ალაგ შეხვედა მთებიც, დახეთქილი ისე, რომლის გაზომა შეუძლებელი იყო. მთის იქით ნახა მშვენიერი ზალაც, რომელიც მოაგონებ კაცსა თავისს საკვირველის სეეტებით მაგტანის თაღებსა, ხან დადიოდა განიერის რეფნით (ვალერეიათი) და ხან ისეთი ვიწრო, რომ ტანისამოსი მუხლებზედ და ზურგ ეხეოდა წვეტიანის ქვებიდგან, რომელნი გამოუშვერიათ თავები კლდეებიდამ, ჭერი და პოლიდამ.

პოლი იმ პირველის ზალისა უსწორ-მასწორი და ქვიანი; რამდენიმე მდინარე მოდინარებენ ზედ. იქიდამ არის გაბმულნი სხვა სხვა მხრებისკენ, ერთი იმათგანი არის ოთხშვიდი ვერსტი სიგრძით; ალაგ ალაგ არის ოთხ წრო, და ზოგან განიერი, და თავდება ეკლდეში.

იმ ქვესკნელის სამეფოს წყლებში სცხრებდნენ თევზნი, გაბგებ დაიჭირეს ხუთი ეზი; სულ ყველანი ეკუთნოდენ ერთს მ

---

*) მამონტი იყო წარმელნის წინეთი ცხოველი, რომლის საზარელს ქვლებს ხან და ხან პოულობენ ეხლაც. ის მიმგზავსებოდა ახლანდელს სპილოსა.

**) ფუტი დიდს მტკაველზე ცოტათ მეტია.

მას; მაგრამ ღირს შესანიშნაი იყო ისა, რომ
რც ერთს თვალი არა ჰქონდა, მაგრამ ან კი
ასაჭიროა იმ გვარნი საჭურველნი, რომელ-
�იც მიიღებენ მზის შუქსა, მათთვის, რო-
ელნიც საუკუნოდ მოკლებულ არიან ნათელ-
ს და შუქსა. ბუნება აძლევს ყოველს ქმნი-
ებას მას, რაც არის საჭირო გასაგრძობად
ოცხლისა და მათ დასატკბობად.

თვით მშვენიერნი და თვით ჩინებულნი
ღვიმენი არიან, უეჭველია, სტალაკტიტისა;
ინი, როგორც შეტყობილი არის, შემდგა-
ან გაქვავებულის წყლის წვეთებისაგან, რო-
ელთაც გაუჟვენავსთ საკირე ქვაში; ნათალნი
როლნი, როგორც ყინულის სხეპლანი, ჩამო-
ვებულ არიან ჭერიდგან და სვეტებათ სდ-
ანან პოლზედ, და გამოხატვენ კედლებზედ
ხვა და სხვა ფიგურებს, სპეტაკს თეთრსა, და
ლვარეს, როგორც ძვირფასს ქვას. ერთის სი-
ტკვეთ ის მღვიმე აწარმოებს მოგზაურზედ
ანსაცვიფრებელს გრძნობას. სინათლე ჟინ-
ლილებისა იყოფა ათას ნაწილად თაღებსა და
ვეტებში და ელავს სხვა და სხვა ვერცხლის
ფრათ. როგორ საწყლათ, როგორ პატარათ
ჩანს ყოველნი კაცის შენობანი, იმ საკვირ-
ელ მსუბუქ დაჩინებულ შენობებებთან,
ომელიც შეუქმნია თვით ბუნებას, საშუა-
ლობითა მცირედის წყლის წვეთისა, უიარა-
ოთ, უპლანოთ, და გამოუანგარიშებელად!
ამ მღვიმეში არის იმდენი სვეტი, ზოგი წვრი-
ი, როგორც ბზის ხე, ზოგი გარეშემო აუწე-
ელის სისქითა. თითქო შემდგარი რამდენი-
ამე მსხვილის ბოძისაგან, რომ მსწავლულთ
ბოინდომეს გამოეანგარიშნათ, თუ როგორ
შექმნა პირველი ბროლი პირველმა წვეთმა
ყლისამა, რომელმაც აიტანა ძირს რამდე-
ნიმე ნაწილი საკირე ქვისა, და მათის ანგარი-
შით აღმოჩნდა, რომ ამ გვარის შედგენისა-
თვის იმ სვეტისა საჭირო იყო ოცდა ექვსი
ათასი წელიწადი.

მახლობლად იმ მღვიმისა არის ერთი გრ-
ძელი დერეფანი, რომელიც მიიყვანს კაცს
ერთს ძრიელ ღრმასა და დიდს ტბასთან; ის
დერეფანი არის სიგრძით თხუთმეტი ვერსტი.
მოგზაურთ გაბერეს თავის გუტაფერჩის ნა-
ვები და სცურაოდნენ იმაში ჟინჟღილების სი-
ნათლეზედ; მის უძრაველ წყალში და მის კი-
დეებზედ ვერა ჰპოვეს ვერაევითარი ნიშანი სი-
ცოცხლისა: ვერც თევზი, ვერც ღამურა,
ვერც ხავსი. ამისთვის დაარქვეს მას „მკვ-
დარი ტბა“.

ძველს დროებში, ინდოელების ამერიკაში
მფლობელობისა დროს უფრო ადრე უთო-
ეთ იქ სცხოვრებდა სხვა რამე შთამოება
ხალხისა, რომლისაც კვალი ეხლაცა სჩანს
სხვა და სხვა ნაწილებში ამერიკისა. ოგეიოს
შტატში იპოვნეს დანაშთენი შენობათა, ის
მოგონებს კაცსა რომაელს არხიტექტურასა
(ხუროთ მოძღვრობასა); მამონტის მღვიმეში-
ც იპოვნეს აკლდამა, რომლისა შენობაც
აჩვენებს, რომ მათი აღმშენებელნი ყოფილან
ბევრით უფრო განათლებულნი ეხლანდელს
ინდოელებზედ. იმ აკლდამებში ჰპოვეს მუ-
მიები, რომელიც თავისა და ძვლების ჩონ-
ჩხის მოყვანილობით ცხადად ამტკიცებენ,
რომ ისინი ყველანი ყოფილან სხვის შთა-
მოებისა, ვინემ იქაურნი კაცნი, პოვნილნი
ევროპიელთაგან ამერიკას გამოჩენის დროს.
ჭეშმარიტია ისიც, რომ ქენტუკში ვერ იპო-
ვნეს ვერც ერთი ჩონჩხი ინდოელისა.

ხალხი იმა შეუტყობელის უსახელოს შთა-
მოებისა, არა თუ მარხავდა თავიანთ მიცვა-
ლებულებს იმ მღვიმეებში, არამედ თითონაც
სცხოვრებდა შიგა, მუშაობდა, და მხიარუ-
ლობდა. იქ უპოვნიათ დაქცეული სამჭედ-
ლოც, სხვა და სხვა საჭურველი და სახლის
იარაღი, რომელიც სრულებით არა ჰგავს ინ-
დოელების იარაღსა.

შემდგომ მამონტის მღვიმის გამოჩენისა
ამერიკელმა შარდმა მოინდომა ეპოვნა, რო-
მელისამე დერეფნის დასასრული; იმან მიიღო
ყოველივე წინეთ გაფთხილება, რომ არ არე-
ოდა გზები იმ ქვესკნელის სამყოფში, მაგ-
რამ მაინც აერია, შეეშალა იმას გზები, და
შემდგომ ორიოდ დღის იქ სიარულისა, და
მოთმენისა სხვა და სხვა შიშისა და უმარჯ-
ვებისა, ამოვიდა ისევ ზევითა.

დასასრული დერეფნისა იმან ვერა ჰპოვა;
ჰპოვა მხოლოდ მუმია, რომელსაც ას-
წერს ასე: „ეს იყო მუმია ქალისა, სიგრძით
ექვსი ფუტი, მაგრამ ის მუმია ისე გამხმარიყო,
რომ ოც გირვანქაზედ მეტს ვეღარ იწონდა.
თმა კეფაზედ ისევა ჰქონდა; ის იყო მოკლეთ
შეკვეცილი; ფერი ჰქონდა ქერა, თავის სარ-
ქველი ჰქონდა სრულებით სხვა ნაირი, ვი-
ნემ ინდოელს. თვალები დიდი; ცხვირი და
ტუჩები აღარ ჰქონდა, კბილები ჰქონდა სპე-
ტაკი თეთრი, სწორეთ, თუმცა კი გაცვეთი-
ლი, როგორც ეტყობა ღეჭისაგან მაგარის
საჭმლისა. ხელფეხი ჰქონდა სრულებით მდე-
�lი, ასე რომ საფიქრებელია ის მაგვარ ყმა-
იყოს ყმაწვილის ქალისა.“ მახლობლად მუ-
მიისა შემდგომში ჰპოვეს სხვა და სხვა ია-
ღი, არა მგზავსი ინდოელების იარაღისა და
იმათ რიცხვში ერთი ხის ჯამი მშვენიერი
მრავალ რიგათ გამოქანდაკებული.

ჰაერის მდგომარეობა იმ მღვიმეში ნიადაგ
ერთ რიგია; იქ ზამთარში მეტი სიცივე არ
არის, როგორც ზაფხულში; ამიტომ რომ სი-
ცხეში იქ კაცი ჰპოვებს სიგრილეს და სიცი-
ვეში სითბოს. ჰაერი არის წმინდა, მშრალი
და მრთელი, მეტადრე ჩასაველის პირის მახ-
ლობლად. სადაც ჰაერი ახლდება ზევიდამ.
ზოგი ერთი სნეულები ჩადიან იქ და ერთის
კვირის შემდგომ ამოდიან გამაგრებულები და
მრთელნი. თუ რომ ექიმი ქრონანი ყოველ-
გან გასწმენდს ჰაერს თავის ერცელს მღვიმეში,
მაშინ ის უთუოთ იქ გააკეთებს სახლებსა,
მისცემს ქირით თავის მიწის ქვეშეთ ავათ-
მყოფებსა და ამოიყვანს იქიდამ მორჩენილთა,
გამაგრებულებთა და გამზადებულებთა ახალის
შრომისა და მუშაობისათვის კაცთა.

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ მსუბუქი აღწერა
ქენტუკის მღვიმისა, ეს საკვირველი ქვესკნე-
ლის სამეფო მოელის, რომ ოდესმე მსწავ-
ლულნი შეადგენენ იმის ერცლად გამოძიე-
ბასა, და გაგვაცნობენ იმ სიმდიდრესა, რო-
მელნიც იფარავენ იმის უფსკრულ სიღრმეში.

მღვიმეს ჰქვიან მამონტისა, მიწის სიდიდის
გამო, თორემ მამონტის ძვლები იქ არაფის
უპოვნია.

სხვა და სხვა ამბავი.

კართოფილისა, თალგამისა და
სხვ. მოხმარება. გაზეთებში სწერდნენ
ამ ერთი წლის წინად, რომ ერთმა ნემეცის
მეოჯახემ ისეთი ოსტატობა იპოვნა, რომ
თალგამს რქის გვარ ნივთად აქცევდა და მე-
რე საკვარცხლისა და სხვა ამ გვარ ნივთებს
აკეთებდა იმისგან. ახლაც კიდევ სწერენ ერთ
ნემეცის გაზეთში, რომ ერთმა ვინმე ნემე-
ცის მეცნიერმა, პუმერმა, ისეთი საშუალება
იპოვნაო, რომ არათუ მარტო თალგამს, არა-
მედ კართოფილსაც, სტაფილოსაც და სხვ.
აქცევს რქის გვარ ნივთად. ეს საშუალება
შემდეგია. იღებენ კარგ, უზადო კართოფილს,
წმინდად ჰფცქვნიან და ერთ დღე-ღამეს, ან ერთ

დღე-ღამე ნახევარს ჰყრიან წყალში, ამ წყალში ას ნაწილზედ რვა ნაწილი გოგირდის მჟაველი (რუსულად сѣрная кислата) უნდა ერიოს; შემდეგ კარგა რეცხენ, რომ გოგირდის მჟაველი გამოეცალოს კარტოფილს, ამისთვის ერთი დღე და ღამე წყალში ჰკიდებენ რაშიმე გამოკრულს და წყალსაც მალ-მალ უცვლიან. ამას შემდეგ კართოფილი სრულებით იცვლება, უფრო თეთრდება და უფრო რბილდება. შემდეგ ეს კართოფილები უნდა ფრთხილად და ნელ-ნელა გაახმონ შუათანა სითბოში; რომ გახმება სახით თეთრი, ზღვის ქაფის მსგავსი შეიქმნება და მაშინ იმისაგან შეიძლება გამოიჭრას სხვა და სხვა სახმარებელი ნივთი. გოგირდის მჟაველი თალგამზე უფრო კარგა მოქმედებს: ათეთრებს და ფშვნილსა ჰხდის. თუ უნდათ რომ თალგამი ირმის რქის მსგავსად აქციონ, ამისთვის ჯერ უნდა გაფცქვნან და მერე თითის სიმსხო ხვრელი გაუარონ შუაში; შემდეგ, როგორც ზევით არის ნათქვამი, უნდა გოგირდ მჟავიან წყალში ჩაყარონ ერთ დღე ღამეს ან მეტს და მერე რომ წმინდად გარეცხენ, ჯოხს ცოტა ერბო უნდა მოსცხონ, ააგონ ზედ დამბალი თალგამი და ცხელ ცეცხლთან დაიჭირონ რომ გახმეს. ამ გვარად მომზადებული თალგამი რამდენიმე დღის უკან სახით ძალიან დაემგვანება ირმის რქას; ამას გარდა ყველა გვარ სალებავს კარგა ითვისებს. თალგამის მაგიერად რომ სტაფილო მოამზადონ ასრე, მაშინ ის დაემსგავსება მარჯნის ფერ ირმის რქას. ეს ნივთიერება ძალიან ვარგისი არის დანაჩანგლის ტარებად, აგრეთვე ჯოხებისა და ქოლგებისთვისაც და სხვ.

დასჯილი ძუნწი. პარიჟთან ახლოს ერთი საშინელი ძუნწი მამულის მეპატრონე სცხოვრებს. თავის სახნავ მამულში დადიოდა ამ ახლო ხანებში ერთ დღესა და დაინახა თეთრი მოდიდო ბოლოკის მზგავსი ძირები. ამ მუქთა საჭმელმა მიიტყუა, ბლომათ მოაგროვა ეს ძირები, მოიტანა შინ და მოახლეს მისცა, რომ ვახშამზე მოართვას. ვახშმათ მუქთა ხორაგს ძალიან შეექცა ჩვენი ბატონი და ვახშამთ უკან საკვირველათ გამხიარულდა. მოახლეს თავის დღეში არ ენახა ეს კაცი მხიარული, ყოვეთვის შუბლ შემხმუხვნილს და დაფიქრებულსა ხედავდა და ამისგამო გაოცებული დარჩა; რა დაემართა რომ ასე იცინისო. შემდეგ მეტის სიცილისა და კასკასისა დაიწყო ისეთ გვარათ ცეკვაობა, რომ ღონე წართმეული ქოშინით კუნძსავე დაეგდო. გაოცებული მოახლე ამაზე დაფიქრდა და ექიმთან მიირბინა. ექიმი დროზე მოესწრო და ჰკითხა: ვახშმათ რა სჭამაო; მოახლემ აჩვენა ის ძირები. აღმოჩნდა, რომ თურმე საწამლავი ბალახის ძირი ყოფილა. ამ ძირს ისეთი თვისება აქვს, რომ თუ ცოტა სჭამა კაცმა—ათრობს და ამხიარულებს და ამძიმებს, თუ მომატებული სჭამა ჭკუას შეუშლის და აზიდებს. ამ ძუნწს იმდენი ეჭამა სიხარბით, რომ თუ ექიმი არ მოსწრებიყო, მუქთა ხორაგი სულს ამოართმევდა. ეხლა თუმცა კარგათ შეიქმნა, მაგრამ მომატებულმა ყაირათმა ორი კვირის ავათმყოფობაში ექიმი, აფთიექა და ყურის მგდებელი კაი ფასათ დაუსვა.

ვარდის ბუჩქების გაკეთება ნაცრით.

ვარდის ბუჩქი რომ წახდება და ფოთლები ჩამოუა, ამისთვის ამბობენ კარგიაო ძირში ნაცარი დააყარონო და რამდენსამე ხანს მორწყან, რომ მიწა რამდენსამე დღეს სულ ნამიანი იყოს. ამისგამო ვარდის ბუჩქს შტოები გამოუა ხელმეორეთა და მალეც გაიზდება.—

არითმეტიკა.

7=შვიდი

მასწავლებელი აიღებს ერთს ხელში ექვსს ქვას და ჰკითხავს მოწაფეს ამ ხელში რამდენი ქვაა?—6.—ექვსს რომ ერთი მივუმატო რამდენი იქნება?—შვიდი. როგორ იწერება შვიდი?—აი, ასე 7.

7 ქვა დავანაწილოთ აი ამ რიგათ:
6 და 1 — 3, 2 და 2 (ან 2-ჯერ 2)
5 და 2. — 3 და 3 და 1 (ან 2 ჯერ-3 და ერთი.)
4 და 3
5, 1 და 1. (ან ორჯერ ერთი).
4, 2 და 1.

7 ქვიდგან 1 ქვას რამდენჯერ გამოაკლებ? 2 ქვას რამდენლაჯერ გამოაკლებ?—3 ქვა რამდენჯერ გამოვა 7 ქვაში? შვიდი დღე და ღამე ერთ კვირას შეადგენს. მაშ ახლა მითხარი კვირაში რამდენი დღე-და-ღამეა?—მაგრამ რადგან ღამით გვძინავს ხოლმე ღამეს აღარ ვთვლით და ვამბობთ კვირაში შვიდი დღეა.—პირველს დღეს კვირისას რა ჰქვია?—მეორე დღეს კვირისას რა ჰქვია? და სხვ.—კვირაში სამი დღე რომ უქმი შევხვდეს სამუშაო დღე რამდენილა დარჩება? ერთ დედას ერთი ქალი და ორი ვაჟი ჰყავს, იმათ შვიდი წყვილი წინდები მოუქსოვია; ვაჟებს ორ-ორი წყვილი არგო, ქალს რაღა დარჩა? მამას შვიდი შვილი ჰყავს, ყველასთვის შვიდი ცხვირსახოცი იყიდა, თითოს რამდენი ერგო? მიხაკო ყოველდღეს თითო კაპეიკს იღებს, კვირას თავის ფულიდგან მეშვიდედს ხარჯავს, რამდენს შეადგენს ესა?—შვიდს მისხალში რამდენი ლოტი გამოვა?

0 0 0 | 0 0 0 | 0

1 ლოტი, 1 ლოტი და 1 მისხალია.

მესამე ლოტს რამდენი მისხალი აკლია?—აბა, მასწავლე, შვიდს ვაშლს როგორ გაუყოფ ორს—სამს და ოთხს ყმაწვილს. დაითვალე 1—დგან 7—მდინ. ერთი ორი და სამი რამდენია? 2 და 1 ჯერ 5 რამდენია.— 1-2 გამოაკლე 1—3 გამოაკლე, ერთი ოთხიდგან აიღე, 1—5-დგან, 1—6, 1—7? ერთი სამში რამდენჯერ გამოვა? ერთი—7-ში,—5-ში, 2-ში?—ორი და ორი?--ორჯელ ორი და ერთი?—სამი და ორი?—ორჯელ სამი უერთოთ?—4 და 3? 4--3? 3—7-ში რამდენჯერ გამოვა?

| | | | | | | 7

|1
|1 $1+1+1+1+1+1+1=7$
|1
|1 $7 \times 1=7$
|1 $7-1-1-1-1-1-1=1$
|1 $1:7=7$

საჟენში რამდენი ფუტაა?—შვიდი. (ფუტით ზომვენ სიგრძეს; ის სივრცით ერთს დიდს მტკაველზე მეტია). ერთი რომელს რიცხვს შეიძლება შვიდჯერ წაერთოს?—ის რა რიცხვია, რომელსაც სამჯერ ორს მიუმატებენ და შეიქმნება შვიდი? რომელილაც რიცხვი გავაორე და შეიქმნა რიცხვი, შვიდზე ერთით ნაკლები; გამოიცან რა რიცხვი გაიორებია? ორის ნახევარზე შვიდი რამდენით მეტია?

$3 \times 2+1-2+3+4-3$? და სხვ.

ბიორგი გაგზავნეს ორ სამ-კაპეიკიანს ბულკზე და მისცეს სამკაპეიკიანი და 2 ორკაპეიკიანი, ნაშალი რამდენი უნდა მოეტანა უკან? მეწაღემ ვაჭარს მიუტანა ერთი წყვილი წაღები 5 მანეთათ და ერთი წყვილი ბაშმაკები 2 მანეთად სულ რამდენი გამოვიდოდა?—ამ ფულიდგან ორ-ორ მანეთად 2 საჟენი შეშა იყიდა, 1 მანეთი ტყავში მისცა, რა დარჩებოდა? ავათმყოფს მოესმა, რომ შუაღამეს უკან საათმა ერთი დაჰკრა და შემდეგ შვიდ საათზე გაიღვიძა, რამდენი საათი სძინებია?

ორი ლოტი და ერთი მისხალი ყავა შვიდ კაპეიკათ ღირს, 2 მისხალი როგორღა ღირს? 7 მანეთათ რამდენი არშინი მოვა, არშინი თუ 2 მანეთად ღირს? მოწაფემ 5 სტრიქონი დაწერა ფიცარზე, შემდეგ 2 სტრიქონი წაშალა და 4 მიუმატა, რამდენი სტრიქონი დაუწერია ფიცარზე? სამს დას 7 რგოლი აქვს, უფროსს ყველაზე ცოტა აქვს და უმცროსს ყველაზე მეტი თითოს რამდენი ჰქონებია?

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го іюля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი ე. წერეთელი.